

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
IX მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების
ჩატარებისთვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომის**

ოქთი № 4

ქ. თბილისი

23/05/2025

18⁰⁰ სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიორგი ოქიტაშვილი
2. ზურაბ გოგშელიძე
3. აკაკი მიქაბერიძე
4. ვალერი არღუთაშვილი
5. მერი კაპანაძე
6. მიხეილ ჭილლაძე
7. თემურ ცაგარეიშვილი
8. პავლიკა ჯაგუნავა
9. მირანდა მიქაძე

2025 წლის 23 მაისს, 18:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის 211-ე აუდიტორიაში გაიმართა სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მეოთხე სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ - ვალერი არღუთაშვილმა, რომელმაც კომისიას წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

დღის წესრიგის პროექტი

1. საარჩევნო დოკუმენტაციაში ცვლილებების განხორციელება;
2. დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგებელთა მოწმობის ფორმების დამტკიცება;

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამთ.

შესაბამისად, წარმოდგენილ დღის წესრიგის პროექტს კომისიამ ვენჭი უყარა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1. საარჩევნო დოკუმენტაციაში ცვლილებების განხორციელება;
2. დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგებელთა მოწმობის ფორმების დამტკიცება;

1. საარჩევნო დოკუმენტაციაში ცვლილებების განხორციელება

კომისიის თავმჯდომარემ, ვალერი არლუთაშვილმა, სხდომის მონაწილეებთან განიხილა ის საარჩევნო დოკუმენტაცია (მაგ., ღონისძიებათა გრაფიკი, სარეგისტრაციო ჟურნალი, რეგლამენტი და სხვა), რომელშიც გარკვეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა გამოიწვია 2025 წლის 5 ივნისს ცესკოს და საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ერთდროულად სენატისა და თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებამ.

კომისიამ იმსჯელა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ საარჩევნო დოკუმენტაციის პროექტებზე და საბოლოო ვერსიებზე შეთანხმებისა და დამტკიცების მიზნით საკითხს უყარეს კენჭი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი -0

დაადგინეს:

დამტკიცდეს საარჩევნო დოკუმენტაცია დანართ(ებ)ის სახით.

2. დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგებელთა მოწმობის ფორმების დამტკიცება

კომისიის წევრმა, თემურ ცაგარეიშვილმა, კომისიას წარუდგინა დამკვირვებელთა დამადასტურებელი ფორმები და აღნიშნა, რომ რადგან 2025 წლის 5 ივნისის სენატის და თვითმმართველოს არჩევნები ერთდროულად ტარდება, ამიტომ დამკვირვებელთა უფლებამოსილების დამდასტურებელ დოკუმენტაციაში აუცილებელია მითითებული იყოს ორივე არჩევნების დასახელება.

კომისიამ განიხილა დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების უფლებამოსილების დამადასტურებელი ფორმები და შემდგომ უყარეს კენჭი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი -0

დაადგინეს:

დამტკიცდა დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები დანართების სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი



ვალერი არლუთაშვილი

მიხეიილ ჭიდლაძე

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX
მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის**

შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის

განკარგულება N 12

2025 წლის 23 მაისი

ქ.თბილისი

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX
მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის
შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებების განხორციელების
შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ N135/ნ ბრძანების მე-40 მუხლის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის 2020 წლის 23 იანვრის „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ N014 დადგენილებისა და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულების გათვალისწინებით სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში - ცესკო) ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ცესკოს ახალი რეგლამენტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ცესკოს რეგლამენტი შესასრულებლად სავალდებულოა გამოქვეყნების მომენტიდან.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე

ვალერი არლუთაშვილი

კომისიის მდივანი

მიხეილ ჭიდლაძე



**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX
მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის
შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისათვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში-ცესკო) უზრუნველყოფს არჩევნების მომზადებას, ორგანიზებასა და ჩატარებას.
2. ცესკო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ N135/ნ ბრძანების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის 2020 წლის 23 იანვრის „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ N014 დადგენილების, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულების (შემდგომში საარჩევნო დებულება), წინამდებარე რეგლამენტისა და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.
3. რეგლამენტი განსაზღვრას ცესკოს უფლებამოსილებას, პროცედურებს, ცესკოს აპარატის სტრუქტურას, საქმიანობის წესს, საარჩევნო პროცესებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ღონისძიებებს. წინამდებარე რეგლამენტსა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულებას შორის საკითხების განსხვავებულად დარეგულირებისას უპირატესობა ენიჭება წინამდებარე რეგლამენტს. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის პროცესების დადგენა და დაზუსტება ხორციელდება ცესკოს უფლებამოსილების ფარგლებში, მათ შორის, წინამდებარე რეგლამენტის, კომისიის სხდომის ოქმებითა და განკარგულებებით მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.
4. ცესკოს აქვს ბეჭედი, რომლის გამოყენებას უზრუნველყოფს საარჩევნო მიზნებისათვის.

5. ცესკოს მისამართია: ქ. თბილისი, თსუ-ის პირველი აკადემიური კორპუსი, 211-ე აუდიტორია.
6. ცესკოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე და წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში.
7. ცესკოს სამუშაო დღედ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე ითვლება ყველა კალენდარული დღე გარდა კვირა დღისა. სამუშაო დღის 10:00სთ-დან 18:00სთ-მდე (შესვენება 13:00სთ-დან 14:00სთ-მდე) აწარმოებს განცხადებების მიღებასა და მათზე რეაგირებას.
8. ცესკოს სამართლებრივი აქტებია:
 - ა) ცესკოს განკარგულება;
 - ბ) ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება; გ) ცესკოს მდივნის განკარგულება;
 - დ) საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება;
 - ე) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება.

მუხლი 2. ცესკოს შემადგენლობა

1. ცესკო შედგება 9 წევრისაგან, რომლებიც პირველივე შეკრებისთანავე ირჩევენ თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს. გადაწყვეტილება მიიღება საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობიდან სრული შემადგენლობის უმრავლესობით სახელობითი კენჭისყრით.
2. ცესკოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის თანამდებობებზე კანდიდატებად განიხილებიან კომისიის შემდეგი წევრები:
 - ა) ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატად – კომისიის არანაკლებ 2 წევრის მიერ წამოყენებული კანდიდატურა;
 - ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილეობის კანდიდატად – კომისიის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული კანდიდატურა;
 - გ) კომისიის მდივნობის კანდიდატად – კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის არანაკლებ 2 წევრის მიერ წამოყენებული კანდიდატურა.
3. ერთი და იმავე კანდიდატის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.
4. თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა ცესკოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში – წილისყრით განსაზღვრული პირი.
5. თუ ცესკოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს ერთდროულად ან კომისიის მდივანს დროებით არ შუძლიათ ამ დებულებით განსაზღვრული ისეთი მოვალეობის შესრულება, რომელიც მათ უფლებამოსილებას მიეკუთვნება, კომისია თავისი შემადგენლობიდან ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ ირჩევს კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის მოვალეობის შემსრულებელს. კომისიის

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შეწყდება, როგორც კი კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე შეძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას, ხოლო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შეწყდება, როგორც კი მდივანი შეძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 3. ცესკოს კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა

1. ცესკოს უფლებამოსილების ვადა იწყება საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღიდან და წყდება ამ დებულებით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დასრულებისთანავე.
2. საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება წყდება კომისიაში მისი შემცვლელი წევრის არჩევისთანავე.
3. ცესკოს წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტის ცესკო.
4. ცესკოს წევრს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს:
 - ა) პირადი განცხადებით;
 - ბ) არასაპატიო მიზეზით კომისიის სხდომის ზედიზედ 2-ჯერ გაცდენის შემთხვევაში.
2. ცესკოსა თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი თანამდებობიდან ვადამდე თავისუფლდებიან კომისიის განკარგულებით:
 - ა) ცესკოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის პირადი განცხადების საფუძვლზე;
 - ბ) არასაპატიო მიზეზით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის უფლებამოსილების შეუსრულებლობის ან არასაპატიო მიზეზით საარჩევნო კომისიის სხდომის ზედიზედ 2-ჯერ გაცდენის შემთხვევაში;
3. ცესკოს თავმჯდომარის გადადგომის (გადაყენების) ან ცესკოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე უნდა ეცნობოს სტუდენტურ თვითმმართველობას;
4. ცესკოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან მდივნის გადადგომის (გადაყენების) თაობაზე განცხადება წარედგინება ცესკოს;
5. აკრძალულია ერთი და იმავე საფუძვლით ცესკოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან მდივნის თანამდებობიდან გადაყენების, აგრეთვე კომისიის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხის დაყენება 7 დღის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ.
6. თუ გადადგომის (უფლებამოსილების შეწყვეტის) თაობაზე განცხადება 2 დღის ვადაში არ დაკმაყოფილდა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან მდივანი თანამდებობიდან გადამდგარად ჩაითვლება, ხოლო საარჩევნო კომისიის წევრს კი უფლებამოსილება შეუწყდება ამ ვადის გასვლის მომდევნო დღიდან.

მუხლი 4. ცესკოს უფლებამოსილება

1. ცესკო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს არჩევნების გამართვას, აკონტროლებს დებულების, წინამდებარე რეგლამენტის, კომისიის სხდომის ოქმებისა და განკარგულებების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;

ბ) იღებს საარჩევნო კომისიის რეგლამენტს;

გ) თუ შეუძლებელი გახდა საარჩევნო დებულებით დადგენილი გარკვეული მოთხოვნების შესრულება და ვადების დაცვა, უფლებამოსილია განკარგულებით განსაზღვროს საარჩევნო ღონისძიებები და მათი ვადები; ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, სტუდენტურ თვითმმართველობას წარუდგინოს წინადადება ახალი არჩევნების თარიღის დანიშვნის თაობაზე;

დ) უზრუნველყოფს საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას; კოორდინირებული საქმიანობისათვის თანამშრომლობს თსუ-ს ადმინისტრაციასთან, კერძოდ, კენჭისყრის ოთახებისა და მათი მოწყობისათვის საჭირო ინვენტარის გამოყოფით, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისათვის, ცესკო თსუ ადმინისტრაციის მეშვეობით თანამშრომლობს უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან. ცესკო უფლებამოსილია დადგენილ ვადებში საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების შეუძლებლობის შემთხვევაში, თვითონ უზრუნველყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევა და დამტკიცება. ასევე, თსუ ადმინისტრაცია ვალდებულია არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის ცესკოს მიერ განსაზღვრულ საქმიანობასა თუ ღონისძიებების განხორციელებას შეუწყოს ხელი.

ე) მარტივი უმრავლესობით ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს;

ვ) თუ საუბნო საარჩევნო კომისია არ ან ვერ ასრულებს დებულებით დაკისრებულ მოვალეობას, უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას, და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება;

ზ) უზრუნველყოფს საარჩევნო საბუთების, საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიების ბეჭდების დამზადებასა და საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

თ) საარჩევნო დებულებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკს;

ი) ამტკიცებს განმეორებითი კენჭისყრის დღეს;

კ) განცხადების (საჩივრის) საფუძველზე ამოწმებს საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერებას და დარღვევის

გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით აუქმებს ან ცვლის მათ. საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნის, საარჩევნო ბიულეტენების ან სპეციალური კონვერტების ხელახლა დათვლის, ასევე ამორჩეველთა სიების გადამოწმების შესახებ;

ლ) საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე ადგენს თსუ-ის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს არჩევნების შედეგებს და განკარგულებით სრული შემადგენლობის ორი მესამედით ამტკიცებს ცესკო შემაჯამებელ ოქმს;

მ) ახორციელებს დამკირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების უფლებამოსილებებს; განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს.

ნ) უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის გამოქვეყნებასა და გავრცელებას;

ო) განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

პ) ადგენს ამორჩეველთა ერთიან სიას, ახდენს მის დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ნაწილის ინტერნეტში განთავსებას;

ჟ) ცესკო უზრუნველყოფს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა გადამზადებას;

რ) ახორციელებს საარჩევნო დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. ცესკოს ყველა განკარგულება ქვეყნდება თსუ-ის ვებ-გვერდზე და შეიძლება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებითაც.

მუხლი 4¹. ცესკოს აპარატი

1. ცესკოს აპარატის შექმნა ხდება ცესკოს გადაწყვეტილების საფუძველზე არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით.

2. ცესკოს აპარატი შეიძლება დაკომპლექტდეს არანაკლებ 3 ადამიანისაგან, რომლებიც ცესკოს ხელმძღვანელი პირებისა და ცესკოს დავალების საფუძველზე უზრუნველყოფენ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და საარჩევნო პროცედურების გამართვას.

მუხლი 5. საუბნო საარჩევნო კომისიები

1. საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, წევრის/წევრების უფლებამოსილება, უფლებამოსილების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები განისაზღვრება საარჩევნო დებულებითა და წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად.
2. საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების შემდგომ, კომისია ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს. კენჭისყრის დღისათვის საარჩევნო დებულებით განსაზღვრული წილისყრა საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე აღარ განხორციელდება, რადგან წინამდენარე რეგლამენტის

საფუძველზე კომისიის წევრთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შემდეგი წესით:

- 2.1. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცედურის დადგენილი წესით წარმართვას, წესრიგის დაცვას, ნაკადის მოწესრიგებას და საჭიროების შემთხვევაში, რომელიმე წევრის ჩანაცვლებას. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია პირს მიუთითოს საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობისათვის ხელისშეშლის აღკვეთის თაობაზე, გააფრთხილოს ხარვეზისა და დარღვევის შემთხვევაში, ხოლო განმეორებითი აქტისას კომისიასთან შეთანხმებით უზრუნველყოს საარჩევნო უბნიდან გაძევება, აღნიშნული საკითხი მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში კომისიის წევრთა ხელმოწერით. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აუცილებლობისა და შეთანხმების საფუძველზე, სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებით (მიზეზის, დროისა და ხელმოწერის აღნიშვნით) ასრულებს კომისიის სხვა წევრისათვის დაკისრებულ ფუნქციას. საარჩევნო კომისიის რეგისტრატორი თავმჯდომარის თანხმობით ამომრჩეველზე გაფუჭებული/დაზიანებული ბიულეტენის შეცვლის მიზნით გასცემს ახალ ბიულეტენს (სასურველია მოხდეს აღნიშნულის აღრიცხვა), ხოლო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს უკანა გვერდზე აწერს გაფუჭებულია და ცალკე ინახავს.**
- 2.2. საუბნო საარჩევნო კომისიის მოადგილე უზრუნველყოფს სპეციალური კონვერტებისა და საარჩევნო ყუთის ზედამხედველობას.**
- 2.3. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოებას, დარღვევის ოქმების (საჩივრების)/განცხადებების სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციასა და თანმდევი პროცესების აღწერას, და საჭიროების შემთხვევაში სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებით ითავსებს კომისიის სხვა წევრისათვის დაკისრებულ ფუნქციას. ასევე, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.**
- 2.4. საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორი უზრუნველყოფს ამომრჩეველთა მონაცემების შემოწებასა და რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენზე ხელის მოწერას, ბეჭდის დასმას და საარჩევნო ბიულეტენის ამომრჩეველზე გაცემას, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით უზრუნველყოფს გაცემული ბიულეტენისა და ხელმოწერების გადათვლას და თავმჯდომარისათვის ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო გაცემული, გამოუყენებელი ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა ხელმოწერების მითითება დროის აღნიშვნით სასურველია სარეგისტრაციო ჟურნალში. შეუსაბამობის შემთხვევაში ახსნა-განმარტებას წერს რეგისტრატორი.**
- 2.5. საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ზემდგომი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ უბანზე დახმარებას, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ნაკადის მოწესრიგებაში, წესრიგის დაცვასა და პროცედურების დადგენილი წესით წარმართვის მიზნით წესებზე მითითებაში.**

- 2.6. კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნის გახსნის შემდგომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის არ მოხდება წილისყრის გამართვა, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრისაგან თავმჯდომარე, მოადგილესა და მდივანს წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული აქვთ ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო კომისიის დანარჩენი 3 წევრი უზრუნველყოფს რეგისტრატორის ფუნქციის შესრულებას. საარჩევნო უბნის დახურვიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე და ხმების დამთვლამდე, რეგისტრატორის ფუნქციის მქონე პირთა შორის წილისყრის საშუალებით გამოვლინდება პირველი, მეორე და მესამე მთვლელი, ხოლო საარჩევნო უბანზე დამკვირვებლების/საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში კი დამკვირვებლები თანხმდებიან ხმის დათვლისას მეთვალყურეობის თაობაზე.
- 2.7. კენჭისყრისა და არჩევნების შემაჯამებელი ოქმები იურიდიულ ძალის მატარებელია, თუ კომისიის წევრთაგან ხელი მოწერილია უმრავლესობის მიერ.

მუხლი 6. კენჭისყრის დღე

საუბნო საარჩევნო კომისიები საარჩევნო დებულებით, წინამდებარე რეგლამენტითა და ცესკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უზრუნველყოფენ კენჭისყრის დღის პროცედურების აღსრულებას.

მუხლი 7. ამომრჩეველთა იდენტიფიცირება

ხმის მიცემისათვის ამომრჩეველი უზრუნველყოფს პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტის, კერძოდ, საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონულ მოწმობის (ID-ბარათი), საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ხოლო უცხოელი სტუდენტები კი პირადობის ან პასპორტის ან ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას.

მუხლი 8. საარჩევნო კომისიის სხდომის საჯაროობა და კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირები

1. საარჩევნო კომისიის სხდომა ღიაა. საარჩევნო კომისიის (იგულისხმება საუბნო საარჩევნო კომისია) სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს, შესაბამისი და ზემდგომი საარჩევნო კომისიების აპარატის თანამშრომლებს, საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს ცესკოში, საერთაშორისო ორგანიზაციის ცესკოში რეგისტრირებულ თითო დამკვირვებელს თარჯიმანთან ერთად, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის შესაბამის კომისიაში რეგისტრირებულ თითო დამკვირვებელს, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ წარმომადგენლებს. წესრიგის დარღვევისა და საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში კომისიას უფლება აქვს წესრიგის დამრღვევი სხდომიდან გააძვოს.

2. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლება აქვთ:

- ა) ცესკოს და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს;

- ბ) ცესკოს წარმომადგენლებს;
- გ)პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების აკრედიტებულ
წარმომადგენლებს;
- ე)დამკვირვებლებს;
- ვ)საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლებს;
- ზ) ამომრჩეველს რეგისტრაციისა და ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში.
3. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი უნდა ატარებდეს მისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს (მოწმობას), რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს გვარი, სახელი, სტატუსი, არსებობის შემთხვევაში წარმდგენი ორგანიზაციის სახელწოდება, უფლებამოსილების განხორციელების არეალი და დოკუმენტის ძალაში ყოფნის დამადასტურებელი ნიშნები (მოწმობის გაცემისა და ძალაში ყოფნის თარიღები, ცესკოს მდივნის ხელმოწერა და ცესკოს ბეჭედი).

მუხლი 9. საარჩევნო კომისიების საქმიანობისათვის ან სხდომის ჩატარებისათვის ხელის შეშლა

ცესკო უფლებამოსილია განსაზღვროს საარჩევნო კომისიების საქმიანობისათვის ან სხდომის ჩატარებისათვის ხელის შეშლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში შესაბამის პირთა სხდომიდან ანდა კომისიის ოთახიდან გამევების წესები, რომლის თაობაზეც უნდა შედგეს გამევების აქტი, ხოლო უშუალოდ სხდომის მიმდინარეობისას სხდომიდან გამევების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საარჩევნო კომისია, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.

მუხლი 10. უფლებამოსილ პირთა მიერ სხდომაში მონაწილეობა

ცესკო უფლებამოსილია განსაზღვროს უფლებამოსილ პირთა სხდომაში მონაწილეობის წესი და დრო.

მუხლი 11. წინასაარჩევნო კამპანია/აგიტაცია

ცესკო უფლებამოსილია განსაზღვროს წინასაარჩევნო კამპანია/აგიტაციის წესები, ასევე, კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე აგიტაციის აკრძალვის წესები.

მუხლი 12. ფოტოვიდეო გადაღების წესი

ცესკო უფლებამოსილია განსაზღვროს ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომებსა და კენჭისყრის დღეს ფოტო-ვიდეო გადაღების წესები.

მუხლი 13. არჩევნების შედეგები

ცესკო საარჩევნო დებულების, წინამდებარე რეგლამენტისა და მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე უზრუნველყოფს არჩევნების შედეგების შეჯამებას, წინასწარი შედეგების გამოცხადებას, განცხადება/საჩივრების განხილვას და შემდგომ არჩევნების საბოლოო შედეგების დადგენა-დამტკიცებისა და გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების მოწვევას.

მუხლი 14. სხვა დამატებითი დებულებები

1. საარჩევნო დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის დაზუსტების მიზნით, მედიცინის ფაკულტეტზე მე-4 და მე-5 კურსზე აირჩევა 1-1 კანდიდატი.
2. არჩევნების ჩატარების მიზნებისათვის საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც შეიცვალს პერსონალურ მონაცემებსაც არჩევნების ჩატარების მიზნის მიღწევის ვადით ექვემდებარება საჯაროობას, ხოლო მიზნის მიღწევის შემდგომ უნდა მოხდეს მონაცემების წაშლა/განადგურება.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX
მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის

შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის

განკარგულება N13

2025 წლის 23 მაისი

ქ.თბილისი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX
მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების საარჩევნო
ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX
მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის
შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში - ცესკო) ადგენს:

მუხლი 1

ცვლილება შევიდეს და დამტკიცდეს განახლებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის
2025 წლის 5 ივნისის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი დაწართის შესაბამისად.

მუხლი 2

წინამდებარე განკარგულება შესასრულებლად სავალდებულოა გამოქვეყნების მომენტიდან.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე

ვალერი არლუთაშვილი

კომისიის მდივანი

მიხეილ ჭილლაძე

დანართი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX მოწვევის
სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების ღონისძიებათა
გრაფიკი

N	თარიღი	ღონისძიება
1.	2 მაისი	<ol style="list-style-type: none"> არჩევნების გამოცხადება 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება
2.	5 მაისი	ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა, კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივნის არჩევა
3.	8 მაისი	<ol style="list-style-type: none"> ცესკოს რეგლამენტის შემუშავება და დამტკიცება. საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის განსაზღვრა კანდიდატების რეგისტრაციის თარიღებისა და ვადების დადგენა/რეგისტრაციის გამოცხადება (რეგისტრაციის ვადა არანაკლებ 5 დღე).
4.	13 მაისი	<ol style="list-style-type: none"> ამომრჩეველთა ერთიანი სიის შედგენა თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე ამომრჩეველთა საუბრო სიების განსაზღვრა, ასევე, კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნებისათვის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სავალდებულო მინინალური რაოდენობის განსაზღვრა. მხარდამჭერ ამომრჩეველთა აღრიცხვის ფორმის დადგენა და დამტკიცება. ცესკო მიმართავს თსუ ცენტრალურ ადმინისტრაციას არჩევნების ორგანიზაციულ საკითხების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო ღონისძიებების თაობაზე, როგორიცაა: <ol style="list-style-type: none"> კენჭისყრის ოთახებს გამოყოფა ფაკულტეტებზე. არჩევნების საარჩევნო ყუთებითა და კაბინეტით უზრუნველყოფისათვის მოთხოვნის წარდგენა. გ) საარჩევნო პროცესების წარმართვისათვის ბეჭდების, კონვერტებისა და სხვა საკითხებზე მოთხოვნების წარდგენა. დ) საუბრო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატების შესაბამისი ფაკულტეტებიდან მოწიდებისათვის მოთხოვნის წარდგენა. (საწყისი ვადა) ე) საარჩევნო უბნებისათვის აუდიტორიების გამოყოფისათვის მოთხოვნის წარდგენა. (საწყისი ვადა) ცესკოს პარატის დამტკიცება საარჩევნო დოკუმენტაციის დამტკიცება(საარჩევნო ბიულეტენის ფორმა, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამაბელი ოქმები, შესწორების ოქმები, სარეგისტრაციო ჟურნალი, სადემონსტრაციო ოქმი, განცხადება/საჩივრის ფორმა და სხვა) (შენიშვა: შესაძლებელია საარჩევნო პროცესებისათვის აუცილებელი საარჩევნო დოკუმენტების ნაწილი შემუშავდეს და დამტკიცდეს, ეტაპობრივად, სხვადასხვა სხდომაზე).

5.	15 მაისი	კანდიდატების რეგისტრაციის დაწყება შენიშვნა: კანდიდატების რეგისტრაცია მიმდინარეობს 2025 წლის 15 მაისიდან 22 მაისამდე.
6.	21 მაისი	კანდიდატების რეგისტრაციის დასრულება (განაცხადისა და საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადა)
7.	24 მაისი	ცესკოს აპარატის მიერ კანდიდატების შესახებ ცესკოსათვის დასკვნის წარდგენა (ბოლო ვადა) შენიშვნა: კანდიდატების მიერ წარდგენილ მხარდამჭერთა სიების ამოწმებს და ცესკოს დასკვნას წარუდგენს ცესკოს აპარატი განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში.
8.	28 მაისი	1. ცესკოს მიერ საარჩევნო სუბიექტებისათვის ნომრების მინიჭება/დარეგისტრირება (ბოლო ვადა) შენიშვნა: კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულდებიდან 3 დღის ვადაში ცესკო ანგანის მიხედვით ანიჭებს საარჩევნო სუბიექტებს ნომრებს. 2. თსუ-ის მიერ კენჭისყრის ოთახების გამოყოფა.
9.	29 მაისი	ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა. (ბოლო დღე)
10.	30 მაისი	1. საუბრო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცება (ბოლო ვადა) 2. საუბრო საარჩევნო კომისიებისათვის ტრენინგების უზრუნველყოფა 3. დამკვირვებლობის მსურველ ორგანიზაციათა რეგისტრაციისათვის მიმართვის ბოლო დღე
11.	01 ივნისი	ცესკოს მიერ გადაწყვეტილების მიღება დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაციის თაობაზე
12.	02 ივნისი	საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დანიშნვნის თაობაზე ცესკოსათვის მიმართვის ბოლო დღე
13.	03 ივნისი	1. ცესკოს მდივანს დამკვირვებელი ორგანიზაცია წარუდგენს დამკვირვებლებზე ინფორმაციას/დამკვირვებელთა სია; 2. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილება
14.	04 ივნისი	1. ცესკოს მდივანი რეგისტრაციაში ატარებს დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ წარდგენილ პირთა მონაცემებს და გადაცემს დამკვირვებელთა მოწმობებს; 2. საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმომადგენლის გამოწვევა/შეცვლა და ცესკოს ინფორმირება
15.	05 ივნისი	საარჩევნო უბნის მოწყობა, ინვენტარის გადაცემა, საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური კონვერტებისა და სხვა საარჩევნო მასალების გადაცემების ბოლო დღე და დრო: 05 ივნისის 08:00სთ.

16.	05 ივნისი	არჩევნების დღე
17.	05 ივნისი	განცხადება/საჩივარი საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურების დარღვევის შესახებ 08:00სთ-დან საარჩევნო ყუთის გახსნამდე
18.	06 ივნისი	განცხადება/საჩივარი ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნის შესახებ (ბოლო დღე/ 06 ივნისის 18:00სთ)
19.	09 ივნისი	<ol style="list-style-type: none"> 06 ივნისს მიღებული განცხადება/საჩივრის განხილვა და ცესკოს გადაწყვეტილება (ბოლო დღე) ცესკოს მიერ შედეგების საბოლოო შეჯამება, თსუ-ის თვითმმართველობის არჩევნების შედეგების დაფურნა ფაკულტეტების მიხედვით და ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცება
20.	10 ივნისი	ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრება; (ბოლო დღე)
21.	11 ივნისი	ცესკოს გადაწყვეტილება არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების თაობაზე (ბოლო დღე)
22.	18 ივნისი	სტუდენტური თვითმმართველობის საქრთო კრების მოწვევა, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნები (ბოლო დღე)
23.	28 ივნისი	ცესკოს მიერ ანგარიშის წარდგენა (ბოლო დღე)

შენიშვნა: წინამდებარე ღონისძიებათა გრაფიკში მითითებულია ძირითადი აქტივობები, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ არის ამომწურავი და საარჩევნო პროცესების საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება დამატებით განისაზღვროს სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება ანდა დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ასახული იქნება ცესკოს გადაწყვეტილებებში და ასევე, შესაძლებელია წინამდებარე ღონისძიებათა გრაფიკშიც განხორციელდეს ცვლილებები.

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX
მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის**

შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის

განკარგულება N14

2025 წლის 23 მაისი

ქ.თბილისი

**სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX მოწვევის
სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის
განცხადება/საჩივრის ფორმაში ცვლილებების განხორციელების შესახებ**

